საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного совета народных депутатов

№31 (6257) სამშაბათი, 1990 წლის 13 მარტი ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

ელდარ ალიოშას ძე ახვლედიანი



საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი **ელდარ ალიოშას ძე ახვლედიანი** რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქის საოლქო-საარჩევნო კომისიამ.

ე. ა. ახვლედიანი დაიბადა 1939 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ცაგერაში. 1957 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა.

1957-1960 წლებში მუშაობდა ცაგერის რაიონის სოფელ ზოგიშის კოლმეურნეობაში ფიზიკურად, შემდეგ ამავე კოლმეურნეობის №4 ბრიგადის ხელმძღვანელად.

1960 წელს გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, რომელიც დაასრულა 1964 წელს. იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1969 წელს.

1969 წელს განაწილებით მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ჯერ ექსპერტ-კრიმინალისტად, ხოლო შემდეგ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამომძიებლო განყოფილების გამომძიებლად.

1978 წლიდან მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრაზე. ამჟამად არის უფროსი მასწავლებელი.

სკკპ წევრია 1969 წლიდან.

ცოლშვილიანია. მეუღლე — ციური ალექსანდრეს ასული გვენცაძე-ახვლედიანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. ჰყავს ორი შვილი.

ცხოვრობს ქ. თბილისში, გურამიშვილის ქ. 11, მე-6 სადარბაზო, ბინა 126.

დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის პლენუმმა.

დეპუტატობის კანდიდატის

წინასაარჩევნო პროგრამის თეზისები:

ჩემი პოლიტიკური ბრძოლის მიზანია:

თავისუფალი, დემოკრატიული, სამართლებრივი საქართველოს სახელმწიფოს შექმნა თავისი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და სასამართლო ორგანოებით, რომლის სახელმწიფო მეთაური უნდა ირჩეოდეს ფარული კენჭისყრით რამდენიმე კანდიდატისაგან უშუალოდ ხალხის მიერ;

თვისობრივად ახალი კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შექმნა.

ადამიანის უფლებების და მათი დაცვის გარანტიების გაფართოება, მრავალპარტიულობის საკანონმდებლო წესით განმტკიცებით ერთი პირის, ერთი პარტიის, ან ერთი ორგანოს მიერ ძალაუფლების მონოპოლიზაციის შესაძლებლობის მოსპობა, დღეისათვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ავტონომიზაციის ზოგიერთი საკითხის გადასინჯვა, ავტონომიურ ერთეულებში მცხოვრებ ხალხთა უფლებების შელახვის გარეშე ისტორიული სამართლიანობის აღდგენა.

დამოუკიდებელი საქართველოს საძირკველი უნდა გახდეს მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების სრულუფლებიანობა, ყველა პროგრესული ძალისა და პარტიების გაერთიანება. პარტიების გათიშვის კრიზისის დაძლევა და მათი აუცილებელი შემჭიდროება გლობალური პრობლემების დაძლევის მიზნით, რომლებიც საქართველოს სუვერენიტეტს ეხება.

აუცილებელია საკვანძო საკითხების გადაწყვეტა, კერძოდ, კანონის მიღება მიწის საკუთრებაზე, რათა ხალხმა მიიღოს საკუთრება არა მარტო წარმოების საშუალებებზე, არამედ თავის შრომის ნაყოფზე, რაც საზოგადოებას დაარწმუნებს იმაში, რომ სახელმწიფო არის შექმნილი ადამიანისათვის და არა ადამიანი სახელმწიფოსათვის, როგორც ამას აქვს ადგილი დღემდე.

ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნა.

ვიბრძოლებ ლეჩხუმში მიგრაციის პროცესის შეჩერებისათვის სოციალური პირობების რადიკალურად შეცვლის გზით, მოვითხოვ გლეხების ინტერესების დამცველი სპეციალური ორგანოს შექმნას და სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად გადაქცევას.

ექსპერიმენტის სახით, სამხედრო სავალდებულო სამსახურში რეგიონიდან წვევამდელთა გაწვევის შეჩერებას, ლეჩხუმის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მისი ბუნებრივი პირობების მაქსიმალურად გამოყენებას, ლეჩხუმის აღორძინების საზოგადოების შექმნას, მისი ტერიტორიიდან წასული ყველა მამაკაცის გაერთიანების გზით.

სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საკუთრების შესახებ

საკავშირო საპარლამენტო კორესპონდენტები კრემლიდან იუწყებიან

ხმის უმრავლესობით უზენაესმა საბჭომ 6 მარტს მიიღო კანონი „სსრ კავშირში საკუთრების შესახებ“ — იმ საკანონმდებლო აქტების რიგში ცენტრალური, რომლებმაც უნდა შექმნან საბჭოთა კავშირში ეკონომიკური რეფორმის სამართლებრივი საფუძვლები. იგი აღიარებს საკუთრების ფორმების მრავალფეროვნებას, ქმნის პირობებს მათი თანასწორუფლებიანი განვითარებისა და შეჯიბრებისათვის.

კანონი ძალაში შედის 1990 წლის 1 ივლისიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამართლებრივი აქტის ნახევარ წელზე მეტი ხნის განმავლობაში საგულდაგულო მომზადების მიუხედავად, დღესაც უდისკუსიოდ ვერაფერს გავხდით. დილის სხდომა დაიწყო თვით კანონპროექტის სახელწოდების განხილვით. ეწოდოს მას „საფუძვლები“ თუ „კანონი“. ეს უკანასკნელი წამოაყენეს იმ კომიტეტებმა და კომისიებმა, რომლებიც პროექტზე მუშაობდნენ. ორივე პალატამ მიიღო სახელწოდება — კანონი „სსრ კავშირში საკუთრების შესახებ“.

გარდა ამისა მთელმა რიგმა დეპუტატებმა წამოაყენეს წინადადება მოიხსნას კანონის პრეამბულა. მათი აზრით, იგი დეკლარაციული ხასიათისაა. ამას არ დეთანხმა მთავრობის მეთაურის მოადგილე ლ. ი. აბალკინი. მისი აზრით, პრეამბულა აუცილებელია, რადგან ადასტურებს, რომ სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემის საფუძველს ქმნის სოციალისტური საკუთრება მისი მრავალფეროვანი ფორმებით.

განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა კომპრომისული ვარიანტი: დეპუტატებმა გადაწყვიტეს მოეხსნათ პრეამბულა, მაგრამ კანონში შეეტანათ დებულება, რომელსაც იგი შეიცავს, იმის შესახებ, რომ საკუთრების ყოველგვარი ფორმის გამყენება უნდა გამორიცხავდეს წარმოების საშუალებებისაგან მუშაკის გაუცხოებას და ადამიანის მიერ ადამიანის

(დასასრული მე-2 გვერდზე).

აღვადგინოთ ტრადიცია

მეჯოგე

მომავლის საქართველოს ძიებისას ხშირად გვესმის კითხვა, რა გვიხსნის, რა შეუნარჩუნებს ჩვენს სამშობლოს თვითმყოფადობას, ღირსეულ ადგილს მოუძებნის მსოფლიოს სხვა თავისუფალ ერებს შორის? ასეთი მომავლის უცილობელი პირობაა დარჩეს საქართველო მიწათმოქმედთა, „გეორგიანთა“ ქვეყნად. დიახ, მხოლოდ სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების აღორძინება მოგვცემს სასურველ შედეგს.

წარმართული დროიდანაა გავრცელებული ჩვენთან მეჯოგეობა. დღემდე ლეგენდადაა მოღწეული მეგრელი გლეხის კვარაცხელიების ჯოგის ამბავი, საიდანაც ამორჩეული 200 თეთრი მოზვერი მიართვეს იმპერატორ ნიკოლოზს. ძველი დიდება თანდათან ჩამოფურცლა კოლექტივიზაციის უგონო წლებმა და დავიწყებას მისცა ჩვენი უმდიდრესი ტრადიციები. ახლა ისიც დიდი საქმეა, ვინმე გლეხთაგანი 10-20-30 სულ პირუტყვს უვლიდეს, ხოლო ნამდვილ მეჯოგეს იშვიათად თუ ნახავ სადმე.

ჰოდა, ბუჭუ ჩაკვეტაძეზე რომ გვიამბეს წიფერჩელებმა, გაკვირვებული დავრჩით: 60 სულიანი ჯოგი ჰყავს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, 35-საც კოლმეურნეობის პირუტყვს უვლისო.

ამ ძნელ საქმეს ბავშვობიდანვე შებმია იგი. ახლა უკვე სიჭარმაგის ასაკს მიაღწია, მაგრამ 61 წლის კაცს გულიც და მუხლიც ერთნაირად ერჩის, ზამთარ-ზაფხულ მომთაბარე ცხოვრებას ეწევა. როგორც ჩანს, წინაპართა სისხლმა იყივლა მასშიც—ხაზგასმული პატივისცემით ეჭცეოდნენ თურმე ჩვენი ძველები მარჩენალ პირუტყვს, თავსაც ერჩივნათ იგი, ცხოველის ჭკვიან თვალებში რაღაც ადამიანურს, ზოგჯერ მისტიურსაც ხედავდნენ თითქოს. თავს გადადებს და პირუტყვს არაფერს მოაკლებსო, ამბობენ ჩვენს მეჯოგზე, ყველს, რძეს მოიკლებს, ხბორებს კი ბოლომდე გაალაღებსო.

40 წელია ბუჭუ ჩაკვეტაძე მეცხოველეობის ფერმის მწყემსია. წიფერჩის კოლმეურნეობას ჭალადიდში აქვს 400 ჰექტარი სათიბ-საძოვარი, ჯოგსაც აქ აძოვებდნენ მწყემსები. მშობლიურ სახლს დიდი ხნით მოშორებულმა ახალგაზრდამ იქაური ქალი შეირთო. მეუღლეები დღემდე ერთგულად ეწევიან ამ მძიმე ჭაპანს. ქალვაჟი გაზარდეს, დააფრთიანეს და გზაზე დააყენეს, 4 შვილიშვილიც ჰყავთ უკვე.

კოლმეურნეობის 15 მეწველ ფურს უვლის ოჯახი. თითოეულიდან 50 კილოგრამი ყველის ჩაბარება ივალდებულა ყოველწლიურად, ამას გარდა ხორციც უნდა მიეყიდა სახელმწიფოსათვის. სიტყვა არ გატეხა ბუჭუ ჩაკვეტაძემ, დაპირებული მიაგო კოლმეურნეობას—600 კილოგრამი ყველი და 2 ტონა ხორცი ჩააბარა.

ზაფხულში მშობლიურ სანახებს მიაშურებს ბუჭუ ჩაკვეტაძე თავისი ჯოგით—ასხის მთაზე და მის შემოგარენში აძოვებს პირუტყვს. მთას უბრუნდება მთიელი. სულ რამდენიმე თვით მიესიყვარულება ლეჩხუმის ზვიად ბუნებას და მერე კვლავ ბარისაკენ გასწევს. ასე გრძელდება ტრადიცია.

ი. ხაბუღიანი.

სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საკუთრების შესახებ

(დასასრული).

ექსპლუატაციას.

შემდეგ პარლამენტი შეუდგა კარების მიხედვით კანონპროექტისათვის კენჭისყრას. შესწორებების განხილვის შემდეგ კანონი მიიღეს: 350 — „მომხრე“, მხოლოდ 3 — „წინააღმდეგი“, 11-მა თავი შეიკავა.

რადგან მიღებული კანონი მოითხოვს ცვლილებების შეტანას სსრ კავშირის კონსტიტუციაში, პარლამენტმა გადაწყვიტა წინადადებანი ამის შესახებ გადასცეს სსრ კავშირის დეპუტატთა მომავალ ყრილობას.

სხდომაზე შეიქმნა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მართლწესრიგისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხთა კომიტეტი ნაცვლად დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის დროებითი კომიტეტისა. მის თავმჯდომარედ არჩეულია ი. ვ. გოლიკი.

დეპუტატი ე. ა. პამფილოვა დაუბრუნდა პარლამენტართა უდისციპლინობის საკითხს, რამაც წინა დღით არსებითად შეაჩერა სესიის მუშაობა. მან წინადადება წამოაყენა ყრილობის დაწყებამდე გამოექვეყნებინათ დეპუტატთა მიერ უზენაესი საბჭოს სხდომებზე დასწრების შედეგები. მისი კოლეგები დეთანხმნენ ამას.

სხდომის თავმჯდომარემ ა. ი. ლუკიანოვმა მამაკაცების სახელით ქალებს მიულოცა 8 მარტის დღესასწაული.

7 მარტს დეპუტატები მუშაობდნენ პარლამენტის კომიტეტებსა და კომისიებში.

სესია მუშაობას განაგრძობს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე, მესამე ყრილობის შემდეგ.

ნაწილიდან მარათი მოვიდა

რედაქციაში სამხედრო ნაწილიდან წერილი მოვიდა, იქ მსახურობს ლასხანელი შერმადინ იუზას ძე ყვირილიანი. სამხედრო-სამშენებლო რაზმის კომკავშირის კომიტეტის მდივანი გვთხოვს გამოვაქვეყნოთ ჩვენი თანამემამულისადმი მიძღვნილი ეს სიტყვები:

ბევრი კარგი საქმეა სამხედრო მშენებელ, უმცროს სერჟანტ შერმადინ ყვირილიანის ანგარიშზე. იგი ჩინებულად მსახურობს, მაგალითის მიმცემია თანამებრძოლებისათვის. მძიმე იყო შერმადინისათვის სამსახურის პირველი დღეები: არმიული ცხოვრების მკაცრი მოთხოვნების მიჩვევა, მაგრამ წრთობა. აღზრდა მიღებული ოჯახსა და სკოლაში დაეხმარა გადაელახა ყველა სიძნელე.

ახლა შერმადინი სამხედრო მშენებელია, ათეულის მეთაური. ბრიგადა, რომელსაც უდგას სათავეში, გასული წლის მონაცემებით საუკეთესოდ იქნა აღიარებული. ყველა ვალდებულება შეასრულა ვადამდე. იგი მარჯვედ ხელმძღვანელობს პირად შემადგენლობას. იმაღლებს პროფესიულ მომზადებას, მაღალი მაჩვენებლებისათვის და სოცშეჯიბრებაში წარმატებისათვის მიენიჭა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება, დაჯილდოებულია „ბაიკანურის მშენებლის“ სამკერდე ნიშნით. ნაწილის ხელმძღვანელობა მადლობას უხდის შერმადინ ყვირილიანის მშობლებს, ყველას კარგი ახალგაზრდის აღზრდისათვის.

გია ჩარკვიანი.

ინგერვიუ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან

არდევან გოლეთიანი: ლეჩხუმისა და საქართველოს აღორძინებისათვის

ალპანის საავადმყოფოს მთავარი ექიმი არდევან (ჯონი) ზოთას ძე გოლეთიანი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობამ. რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის № 201 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

*** როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი სადეპუტატო მოღვაწეობა და საარჩევნო პროგრამის შესრულების საშუალებები?**

— ჩემი სადეპუტატო მოღვაწეობის ამოსავალი კრიტერიუმი ჩემი ამომრჩევლების განაწესები გახლავთ, რაც შეეხება პროგრამის შესრულების საშუალებებს ჩემი ცხოვრება ამ პერიოდში მათ ძიებასა და შესრულებისათვის ბრძოლას მოხმარდება და თუ კი ვერ შევასრულებ, ადგილს დავუთმობ უფრო ღირსეულს.

*** რა შეგძინათ გარდაქმნამ, საჯაროობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლამ?**

— ჩემი აზრით, გარდაქმნა ჯერჯერობით არ მიმდინარეობს. იმის გარდაქმნა სიკეთედ, რასაც სათავედ ბორტება უდევს შეუძლებელია. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ გარდაქმნის თვისობრივი არსი მისმა ავტორმაც არ იცის. საჯაროობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლა ამჟამად არასწორი გზით მიმდინარეობს და ჩემი აზრით საჯაროობისა და დემოკრატიის განხორციელება შეიძლება მხოლოდ თავისუფალ სამართლებრივ სახელმწიფოში და არა იმპერიაში.

*** როგორ გესახებათ ცაგერის რაიონის მომავალი ხუთწლედი?**

— მიმაჩნია, რომ ხუთწლედებზე საერთოდ უნდა ვთქვათ უარი. მომავალ ხუთწელიწადში უნდა ვიხილოთ თავისუფალი საქართველო, მაშინ ეს იქნება ლეჩხუმისა და საქართველოს აღორძინებისათვის თავდაუზოგავი შრომისა და ბრძოლის წლები.

*** როგორ წარმოგიდგენიათ თქვენს სამოქმედო სფეროში გარდაქმნა?**

— სამედიცინო სფეროში გარდაქმნა უდიდეს ძალისხმიერებას მოითხოვს და იგი უნდა დაიწყოს სამედიცინო ინსტიტუტში მისაღები გამოცდებიდან. აბიტურიენტს არ უნდა ჰქონდეს არავითარი პრივილეგია (ლიმიტი, მედალი და სხვა). მისაღები გამოცდები უნდა იყოს ობიექტური და ჩაირიცხოს მხოლოდ ცო[illegible] აუცილებელია სამედიცინო ინსტიტუტში [illegible] სის მეთოდების გაუმჯობესება. სტუდენტი სამედიცინო საგნებს და საექიმო ჩვევებს უნდა ეუფლებოდეს პირველი კურსიდანვე. მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხი. რაც, ჩემი აზრით, ბოლოს მოუღებს სტუდენტის მიერ საგნის ოპერატიულად (5-6 დღეში) მომზადებას და ჩაბარებას, რადგანაც ვიცით, რომ ოპერატიულად მომზადებული საგანი სტუდენტს ოპერატიულად ავიწყდება.

აუცილებელია მთელი ჯანდაცვის სისტემის, პირველყოვლისა მისი დაფინანსების ძირეული გარდაქმნა, რადგან მედიცინის მუშაკთა შრომის ანაზღაურება არ იძლევა ავადობის დონის შემცირების ან მისი ეფექტური მკურნალობის სტიმულს. არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მინიმალურად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს და მაინც ყველაზე მთავარი, ჩემი აზრით არის ექიმის პროფესიონალიზმი და პიროვნული თვისებები.

ექიმმა ავადმყოფს შეება უნდა მოჰგვაროს არა მარტო რჩევა-დარიგებებით, არამედ თავისი ქცევით, გარეგნობით, განათლებით და სამედიცინო ეთიკის დაცვით.

*** თქვენი პოზიცია საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და მიღწევის საშუალებები.**

— ჩემი აზრით ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა ცალ-ცალკე არ არსებობს. თავისუფლება ეს თავისუფლებაა და თუ მას რაიმე აკლია იგი არ შეიძლება იყოს სრულფასოვანი. დამოუკიდებლობის მიღწევის გზად მესახება მშვიდობიანი პარლამენტური ბრძოლის გზა.



თბილისის საშენ მასალათა კომბინატის კოლექტივმა ხელშეკრულება დაუდო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფირმა „ბოხაკოს“. ხელშეკრულება ითვალისწინებს წითელი თიხის დეკორატიული ქოთნებისა და ლარნაკების მიწოდებას.

სურათზე: თბილისის საშენ მასალათა კომბინატის საგამოფენო დარბაზში.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

სანთლები მოწამებრივი სისხლისათვის

ნელ-ნელა ივსება ესთეტიკური აღზრდის ცენტრის დიდი დარბაზი ახალგაზრდებით. ეს ბუნებრივიცაა, იმდენად ბევრია საშური საქმე და საკეთებელი, საფიქრალი საქართველოზე, მის ახალგაზრდობაზე, უსაშველოა ფიქრი წარსულსა და მომავალზე, დაღვრილ სისხლზე...

მაგრამ ამ დაძაბულ დღეებშიც, ქალის კუთვნილი დღის 8 მარტის იგნორირებაც დანაშაულია. და ამიტომაც დაუძახეს თანატოლებს შეხვედრაზე კომკავშირის ცაგერის რაიკომის მუშაკებმა. ვისაც ამის სურვილი აღმოაჩნდა, მოვიდა კიდეც.

საღამო მიჰყავდა კომკავშირის რაიკომის მდივანს მარინე სვანიძეს. მან წუთიერი დუმილით პატივისცემა სთხოვა დარბაზს შარშან 9 აპრილს დაღუპული ჩვენი გოგონებისა და ქალების მოწამებრივი სისხლისათვის.

დამძიმდა განწყობა, აინთო სანთლები დაღუპულთა სახსოვრად, მოციაგე შუქმა თანდათან იმძლავრა, გაანათა ხვალის უკეთესი ნათელის ნიშნად.

შეკრებილებს დღესასწაული მიულოცეს კომკავშირის ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა გიორგი კვირკაშვილმა, ქალთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ მზევინარ ძნელაძემ, ცაგერის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა მარინე გოგიძემ, ცაგერის №91 პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა გია ლიპარტელიანმა და სხვებმა.

დარბაზში სიმღერაც იყო, ლექსიც, კონკურსიც... და ყველაფერში ქართული სულის აღზევება, ზრახვა და შუქი გამოსჭვიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი თანამემამულენი

საოცარია, მაგრამ დღეს ნაკლებად შეხვდები ადამიანს, რომელიც გაგაოცებს თავისი გულახდილობით, უშუალობითა და სიმართლით. ამ გამონაკლისთა კატეგორიას მიეკუთვნება რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი რაფიელ სემინარის ძე ახვლედიანი. პიროვნება, რომელსაც ყველაზე და ყველაფერზე საკუთარი, მკვეთრად გამოხატული შეხედულება აქვს და კაცობის საზომად ერის სამსახური მიუჩნევია.

ქუთაისში არიან რაფიელ ახვლედიანის მეგობრები, მომსწრენი მისი რთული და საინტერესო ბიოგრაფიისა და იმ პატიოსნებით აღსავსე გზისა, რომელიც სპეტაკად, დაუცხრომელი შრომით და ბრძოლით განვლო მან, ხოლო ცაგერის რაიონში ახსოვთ ახალგაზრდა, შრომისმოყვარე და სწავლას მოწყურებული ჭაბუკი, რომელიც მხარში ედგა მამას და ეხმარებოდა მას მრავალრიცხოვანი ოჯახის მოვლა-პატრონობაში.

..იდგა 1941 წლის 22 ივნისი, რაფიელის მამა სემინარი ცაგერიდან მშობლიურ სოფელ აღვში ავიდა. სიხარულით შემოესივნენ შვილები. ვინ რას ეკითხებოდა— ყველაფერი აინტერესებდათ, მაგრამ მამის სახეზე ოდნავი ღიმილიც არ სჩანდა. უეცრად ყველანი მიწყნარდნენ, რაღაც ავის მომასწავებელი იგრძნეს და ამის თქმის დროც დადგა: „საზიზღარმა გერმანელმა ფაშისტებმა ომი დაიწყეს, მოულოდნელად თავს დაგვესხნენო“,—ძლივს წარმოთქვა სემინარმა და იქვე ჩამოჯდა.

იმ დროს რაფიელ ახვლედიანს თვრამეტი წელიც არ შესრულებოდა. სახლში გული არ უდგებოდა, მაგრამ პასუხობდნენ, შენი დროც მოვაო.

და აი, 191-ე სათადარიგო ლეგიონი, რაფიელს, ჯერ ასეულის, შემდეგ კი ათასეულის კომკავშირის მდივნად ირჩევენ, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი ხდება. სწრაფად ითვისებს საბრძოლო ტექნიკას.

მალე ლეგიონით შეივსო 35-ე გვარდიული დივიზია და ბრძოლით განვლეს მოზდოკი, ბატაისკი, ტიხორეცკაია, როსტოვი და ათობით დასახლებული პუნქტი. საკუთარი თვალით ნახა ჰიტლერელებისაგან დანგრეული საბჭოთა ქალაქები და სოფლები, ნაწამებ-ნატანჯი საბჭოთა ადამიანები.

ქალაქი მელიტოპოლი ფაშისტებს მთლიანად დაენგრიათ. ქალაქის მისადგომებთან არც ერთი ხე არ იყო დარჩენილი, რომელზეც საბჭოთა ადამიანი არ ეკიდა. ასე ბარბაროსულად გაუსწორდნენ ფაშისტი ჯალათები მშვიდობიან მოსახლეობას.

ა მ ა გ დ ა რ ი

1943 წლის 20 ოქტომბერს ჩვენი ჯარები ქალაქში შევიდნენ და გაათავისუფლეს იგი. ქალაქის განთავისუფლებაში დიდი წვლილი შეიტანა რაფიელ ახვლედიანმაც, ამიტომაც იყო, რომ ამ რამდენიმე წლის წინ, როცა მელიტოპოლის მაღლიერი მოსახლეობა, კერძოდ, ქალაქის რადიოს მუშაკები ითხოვდნენ ქართველ მებრძოლთა და მეთაურთა გვარებს, რომლებიც იბრძოდნენ მათი ქალაქის განთავისუფლებისათვის ფაშისტური უღლისაგან, კვალის ძებნამ ისინი რაფიელ სემინარის ძე ახვლედიანთან მიიყვანა.

1943 წლის 25 ოქტომბერს ქალაქი დნეპროპეტროვსკი ზეიმობდა განთავისუფლების დღეს. 35-ე გვარდიული დივიზია სხვა ნაწილებთან ერთად ფაშისტ ბარბაროსებს დასავლეთისაკენ მიერეკებოდა. ნაბრძოლ ადგილებში, მეომრები ნახულობდნენ კედლებზე სხვადასხვა ენაზე ლექსად წარწერილ სტრიქონებს. რაფიელ ახვლედიანმა ერთ-ერთ კედელზე ქართულად ამოიკითხა:

„სისხლი სისხლის წილ ფაშისტ ჯალათებს,
სამარედ ერგოთ ჩვენი მამული,
ყოველ ქოხიდან, ტყიდან, ბუჩქიდან
ზუზუნებს ტყვია პარტიზანული“.

ქ. კრივოიროგისაკენ მიმავალ გზაზე, ტყისპირას, რაფიელი თანამებრძოლებთან ერთად შეხვდა ამ მიდამოებში მოქმედ პარტიზანულ რაზმს. გულთბილი იყო მათი შეხვედრა. ერთ ადგილას, შესვენებისას გამოცხადდა საბძოლო განგაში.

და ნაწილიც შეუდგა საბრძოლო დავალების შესრულებას.

რაფიელ ახვლედიანი ხელის ტყვიამფრქვევით მუსრს ავლებს ფაშისტებს. იქვე გვერდითაა, მეორე ნომერი, მისი სკოლის ამხანაგი გრიგოლ ხალინაძე.

უეცრად, რატომღაც წინსვლა შეჩერდა. მეზობლად მყოფმა აზერბაიჯანელმა მამედოვმა, რომელსაც ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდა, ახვლედიანსა და ხალინაძეს გამოსძახა:

—თქვენს პირდაპირ ფაშისტების საცეცხლე წერტილია, ესროლეთ ხელყუმბარები.

მისი ნათქვამი იმ წუთშივე შეასრულეს და მიზანსაც მიაღწიეს. მტერი დადუმდა. ჩვენს ქვეგანაყოფებს საშუალება მიეცათ იერიში გაეგრძელებინათ. ამ ორთაბრძოლაში ხალინაძე ფეხში დაჭრილიყო. სასწრაფოდ შეუხვია რაფიელმა ჭრილობა მას და განაგრძო ბრძოლა. ძნელი იყო სანგრებიდან ფაშისტების ამოყვანა, მაგრამ ფიცხელი იერიშის დროს ჩვენი მეომრები ამას ახერხებდნენ და შემდეგ მუსრს ავლებდნენ მათ.

რაფიელ ახვლედიანთან ერთად იბრძოდნენ გიორგი (ჟორჟიკა) ახვლედიანი, ბენიამინ კანაჩაძე (გმირულად დაიღუპნენ), ჭიჭიკო მუშკუდიანი, რუსი ი. ჩიხირინი, უკრაინელი ნ. ტატარენკო, აზერბაიჯანელი მ. მამედოვი და სხვა.

ერთ-ერთი ბრძოლის დროს საჭირო შეიქნა ბორცვზე გამაგრებული ფაშისტთა საცეცხლე წერტის მოსპობა, ამისათვის კი საჭირო იყო შემოვლითი მანევრი, რაც შესანიშნავად განახორციელა რაფიელმა და ხელყუმბარებით ჩააჩუმა მტერი, ამით საშუალება მისცა ქვეგანაყოფს გაეგრძელებინა იერიში.

1943 წლის 19 დეკემბერს ღამით, ნაღმის აფეთქების შედეგად რაფიელი დაიჭრა იდაყვის არეში, ხოლო აფეთქების ტალღამ ღრმა ორმოში ჩააგდო, რის შედეგად დაკარგა მეტყველების უნარი. სისხლის დაკარგვით დასუსტებული რაფიელი თანამოლკელმა მამედოვმა გამოიყვანა ბრძოლის ველიდან.

ჰოსპიტალი. ურალი.

მეტყველება წართმეულ მეომარს ეუმის ადგილობრივი რადიოს დიქტორის ხმა: „ლაპარაკობს თბილისი, გადაიცემა კონცერტი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, მოისმინეთ ქართული ხალხური სიმღერა „ხულიკო“.

ფანდურის წკრიალა ჰანგმა, ქალის მგრძნობიარე ხმამ სულით ხორცამდე შესძრა რაფიელი და მოულოდნელად წამოიყვირა: „ბიჭებო, ცოცხალი ვარ, ცოცხალი ვარ“.

სიმღერის ჯადოსურმა ძალამ დაუბრუნა მას მეტყველება, სიცოცხლის სიყვარული. მაგრამ ის უკვე ბრძოლას ვეღარ გააგრძელებდა და ჰოსპიტალიდან გამოეწერა, როგორც მეორე ჯგუფის ინვალიდი.

(დასასრული 4 გვერდზე).

შემოსული წერილის კვალდაკვალ

რედაქციაში შემოსულ წერილში, რომელსაც ხელს აწერენ ლაილაშის სასოფლო საბჭოს აქტივი, სულ 8 კაცი, აღნიშნულია, რომ „რაიკოოპერატივის წარმომადგენლებმა 14 თებერვალს ადგილობრივი ხელმძღვანელობის გვერდის ავლით ჩამოაფასეს ლაილაშის სამრეწველო მაღაზიაში დაახლოებით 6 ათასი მანეთის საქონელი 1900 მანეთად და აღნიშნული საქონელი სარეალიზაციო მაღაზიას, აღნიშნული საქონლის ნაწილი მეორე დღეს ლაილაშლებმაც იყიდეს და სხვა სოფლების მცხოვრებლებმაც, ნაწილი დღესაც აწყვია მაღაზიაში.

სერიოზული დარღვევები გამოვლინდა ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების საწყობიდან საქონლის გაცემასა და ლაილაშის სამრეწველო მაღაზიაში იმპორტული საქონლით ვაჭრობის მოტანილი არის თუ არა ყველა საქონელი, რაც მაღაზიას დაეწერა ფაქტურით. ისიც დასძინა, რომ საქონელი მოიტანა გიური ბერუჩაშვილმა და ითხოვს მასაც მივუყიდოთო.

საბჭოს თავმჯდომარემ პარტიული ორგანიზაციის მდივანს ი. ხვადაგიანს და სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეს ნ. ერბელიძეს მიანდო მოტანილი საქონლის გაკონტროლება. მაღაზიის გამყიდველს კი დაავალა — გ. ბერუჩაშვილს, რომელმაც საქონელი მოიტანა, მიყიდოს მხოლოდ ერთი დასახელება. დანარჩენი გაყიდოს მასწავლებლებზე.

საბჭოს წარმომადგენლებმა შეადარეს ფაქტურა და მოტანილი საქონელი, რაიმე სხვაობა არ იყო, მაგრამ ისინი და იქ მყოფი სხვა მოქალაქეებიც უკმაყოფილო დარჩნენ გიური ბერუჩაშვილის მოქმედებით, რომელმაც მის მიერ მოტანილი 18 სახეობის საქონლიდან თვითონ გადაიწყო 6 სახეობის, მაღაზიის გამყიდველმაც წინააღმდეგობა არ გაუწია და მოტანილი 684 მანეთის საქონლიდან გ.ბერუჩაშვილს გაატანა 348 მანეთის საქონელი,

ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების საწყობის გამგის ჯ. ჩაჩხიანისა და ლაილაშის სამრეწველო მაღაზიის გამგე-გამყიდველის ნ. მეგრელიშვილის მოქმედება ყოვლად გაუმართლებელია.

საჭიროა ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების ხელმძღვანელებმა გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი იმპორტული საქონლით ვაჭრობის წესების დარღვევათა მიმართ და მომავალში აღკვეთონ მსგავსი შემთხვევები.

ვლ. დავითულიანი.

რამ გაანაწყენა სოფელი?

ციოდ წაიღეს სხვაგან, ხოლო 15 თებერვალს იმავე სამრეწველო მაღაზიაში ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების საწყობიდან შემთხვევითმა პირმა მოიტანა 18 დასახელების იმპორტული საქონელი და 7 დასახელება თვითონვე წაიღო უკან. აღნიშნულმა მდგომარეობებმა აღაშფოთა ლაილაშის მოსახლეობა“.

აღნიშნულმა ფაქტებმა ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების საწყობში და ლაილაშის საბჭოში მიგვიყვანა. მდგომარეობის ადგილზე შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ცაგერის რაიკოოპერატივის გამგეობის მიერ დამტკიცებულმა კომისიამ თებერვლის თვეში მოახდინა ლაილაშის სამრეწველო მაღაზიაში არსებული ხარისხდაკარგული და მოძველებული საქონლის ჩამოფასება ინსტრუქციის შესაბამისად და 14 თებერვალს აღნიშნული საქონელი გამოიტანეს მაღაზიიდან. იგი სათანადო წესის დაცვით ჩაბარდა ორბელში არსებულ ჩამოფასებული საქონლის წესის დაცვის საქმეში.

ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების საწყობის გამგე ჯემალ ჩაჩხიანი მოიქცა არასწორად, 15 თებერვალს ლაილაშის სამრეწველო მაღაზიის კუთვნილი იმპორტული საქონელი მაღაზიის გამყიდველის ან დარგობრივი გაერთიანების წარმომადგენლის გარეშე მაღაზიაზე ჩასაბარებლად გაატანა ქალაქ ცაგერში მცხოვრებ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ხელოსანს გიური ბერუჩაშვილს, რომელიც შემთხვევით იმყოფებოდა ალპანაში და მიდიოდა თავისი ავტომანქანით ლაილაშში.

გიური ბერუჩაშვილმა ყუთი, რომელშიც იმპორტული საქონელი იყო თავისი ფაქტურით, გადასცა მაღაზიის გამყიდველს ნორა მეგრელიშვილს, თან უთხრა, ზოგი რამ მეც უნდა მომყიდოო. მეგრელიშვილმა საქონელი მაღაზიაში შეიტანა და შემდეგ მივიდა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ანასაშვილთან, თან მიუტანა ფაქტურა და სთხოვა, შეამოწმონ

ჩვენი სარედაქციო ფოსტიდან

იმედად გვიდგას

ადამიანი, რომელსაც გათვითცნობიერებული აქვს ადამიანური სიკეთის ძალა, ყოველთვის ყურადღებიანი და მზრუნველია გაჭირვებულთა მიმართ, მისი საზრუნავი ერთია, დახმარების ხელი გაუწოდოს, უშველოს ჭირში მყოფს, სწორედ ამ თვისებებით ხასიათდება ჩვენი სოფლის მედდა ჟუჟუნა კოპალიანი-დავითულიანი.

ჟუჟუნა ჩქუმის საბჭოს პუნქტის მედდა და მთელი სოფლის იმედია რასაც მისი პროფესიული ცოდნა განაპირობებს. ექიმის დანიშნულების შესაბამისად ატარებს მკურნალობის კურსს. მისთვის არ არსებობს დაბრკოლება ცუდი ამინდის, ან ბნელი ღამის გამო, შვილს ან შვილიშვილს დაიმგზავრებს და დროულად უწევს თავის გამოცდილებით ავადმყოფს მკურნალობას. ყოველივე ამასთან ერთად, ისეთი კარგი, თვალნათელი რჩევის მიცემა იცის ავადმყოფისათვის, რომ სწრაფი გამოჯანმრთელების იმედს ჩაგისახავს.

უკვე რამდენიმე წელია დაუზარებლად მემსახურება. თუმც, არც თუ ადვილია რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ ავადმყოფთან სიარული დილაუთენია თუ ღამის 12 საათზე. ბევრჯერ გადამიწურავს გამოჯანმრთელების იმედი, მაგრამ ისევ ჟუჟუნას შეუდრეკელ ბრძოლას ავადმყოფობასთან ვუხსნივარ განსაცდელისაგან. მე ვიცი, რომ ჩვენი სოფლის ბევრი მცხოვრები მისი თავდაუზოგავი მომსახურებით განიკურნა და დღეს შრომით საქმიანობას ეწევა.

გრიშა თუთისანი.
სოფ. ჩქუმი.

ა მ ა გ დ ა რ ი

(დასასრული).

ომის შემდეგ შეძლო თავისი ახალგაზრდული ოცნებების განხორციელება, დაქორწინება, დამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი. მუშაობდა პარტიის საოლქო კომიტეტში, მუხაესტატეს და ჩაქვის ჩაის ფაბრიკების დირექტორად, 18 წელი იმუშავა ქალაქის პურკომბინატის მთავარ ინჟინრად, 10 წელზე მეტი—საქართველოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის ლაბორატორიის უფროსად, სადაც კეთილსინდისიერად ემსახურა დასავლეთ საქართველოს რაიონებში ბუნების დაცვის და მისი რესურსების რაციონალურად გამოყენების საშვილიშვილო საქმეს.

იგი დაჯილდოებულია მრავალი საბრძოლო შრომითი ორდენითა და მედლით.

რაფიელ ახვლედიანმა უკან მიიტოვა მრავალი ათეული წელი, მაგრამ დღესაც, როგორც ადრე, აქტიურად, შრომის დიდი სიყვარულით და ახალგაზრდული ენერგიით უძღვება თავის საქმეს. იგი ხელმძღვანელობს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის კაბინეტს ქუთაისის ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, კითხულობს ლექციებს. მისი ახოვანი ფიგურა ყოველდღე შეიძლება შეამჩნიოთ ინსტიტუტის სასწავლო კორპუსებსა და ლაბორატორიებში.

ის დიდი მზრუნველობით და ყურადღებით გამოირჩევა ოჯახურ გარემოშიც. ხშირად იკრიბებიან მასთან ქალიშვილი რუსუდანი, სიძე გოგი და შვილიშვილები თბილისიდან, ძმები, დეები, მეგობრები ლეჩხუმიდან. ეს შეხვედრები ყოველთვის მთავრდება „სულიკოს" ჰანგებით, ტკბილი ქართული სიმღერებით, რომლებშიც კარგად ჩანს მათი უსაზღვრო სიყვარული ხალხისადმი, მშობლიური მიწისადმი.

აი, ამ საოცრად ყურადღებიან, თბილ და მართალ ადამიანს დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა. ვუსურვებთ ბატონ რაფიელს დაბადების დღეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ცხოვრებისეული სიბრძნით გაჯერებული მისი სიდარბაისლე, ჩაუმქრალი ენერგია და სიცოცხლის სიყვარული გვარწმუნებს, რომ კეთილშობილი ცხოვრების გზაზე კვლავაც დიდხანს და გამართულად ივლის ამაგდარი.

ლალი შენგელია,
ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომელი.

სალამო დასამახსოვრებელი იყო

ბევრი საინტერესო ღონისძიება ეწყობა წიფერჩის სასოფლო კულტურის სახლის მუშაკების ნანა ხეცურიანის და დალი ჩარკვიანის მიერ.

დიდხანს ემზადებოდნენ კულტურის მუშაკები ამ დღისთვის. სურდათ სოფლის მშრომელ ქალებს კარგად გამასპინძლდებოდნენ, დაემახსოვრებინათ მათთვის 8 მარტი, დედისა და ქალის დღე.

სოფლის მშრომელები შეიკრიბენ 6 მარტს, უმეტესად ქალები — მეაბრეშუმეები, მესიმინდეები, მევენახეები და მრავალშვილიანები.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა წიფერჩის სასოფლო საბჭოს მდივანი ნორა ლარცულიანი. ბარდნალის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს მონტაჟი. კულტურის სახლის დრამატული წრის მიერ შესრულებულ იქნა გოგიაშვილის სკეტჩები, შესრულდა მუსიკალური ნომრები, ცეკვები.

დარბაზში იყო ღიმილი, ხალისი, სითბო და სიყვარული.

ეს საღამო დიდხანს დაამახსოვრდებათ აქაურ ქალებს, კმაყოფილები და მადლიერები დაბრუნდნენ ისინი შინ.

გ. თუთისანი.

სოფ. ბარდნალა.

სპეციალისტები გვირჩევენ

ჩალა, როგორც სილოსის შემცვლელი

პიტერ მარშს, რომელსაც 42 ჰექტარი ფართობის მეცხოველეობის მეურნეობა აქვს, მიაჩნია, რომ მწვავე ნატრიუმით დამუშავებული ჩალა უხეში საკვების იაფი წყაროა და სილოსის ნაკლებობის დროს მისი გამოყენება შეიძლება.

მარში აღნიშნავს, რომ მიუხედავად სილოსის უფრო მაღალი საკვები ღირებულებისა შეიძლება 50 პროცენტით შემცირდეს იჯარით აღებული სილოსის დასამზადებლად ბალახთდგომის ნაკვეთის ფართობი და სილოსის ნაკლებობა შეივსოს მწვავე ნატრიუმით დამუშავებული ჩალით, რომელიც თავისთავად წარმოადგენს საკვები რაციონის მნიშვნელოვან კომპონენტს, მადას უმატებს ცხოველებს და კარგად მოქმედებს რძის ხარისხზე. მარშან 24 აგვისტოს მარშის ფერმაში მწვავე ნატრიუმით დამუშავდა 42 ტონა ჩალა, რომელიც მეორე დღესვე გამოიყენეს საკვებად. ჩალას ინახავენ ფარდულში, რომლის წინა ღია ნაწილი გადატიხრულია დიდი დაწნეხილი ბარდანების ბარიერით. 110 ტონა მწვავე ხატრიუმით დამუშავებული ჩალა ცვლის 375 ტონა სილოსს.

მარშის მეურნეობაში ზაფხულში, ბალახის ძოვების დროს მეწველ ძროხებს დამატებით აძლევდნენ სილოსს, რომლის მარაგმა 400 ტონა შეადგინა. ამ სილოსმა ივლისსა და აგვისტოში იხსნათ მდგომარეობიდან, როცა საძოვრებზე სრულიად აღარ იყო ბალახი.

ამჟამად მეწველი ძროხები იღებენ საკვებ რაციონს, რომლის შემადგენლობაში შედის მწვავე ნატრიუმით დამუშავებული 3 კილოგრამი ჩალა, 16 კილოგრამი სილოსი და 2 კილოგრამი მელასა. ასეთ ნარევს დღეში ერთხელ უყრიან ბაგაში საკვებსარიგებელის მეშვეობით. გარდა ამისა, ნაწველის მიხედვით ძროხები საწველ დარბაზში იღებენ კონცენტრატებს.

წელიწადში 1243 კილოგრამი კონცენტრატით კვების დროს 1988-1989 წლებში საშუალო წლიურმა ნაწველმა ნახირში 5333 ლიტრი შეადგინა. საკვებისა და სასუქის საყიდლად გაწეული ხარჯების გამოქვითვის შემდეგ თითოეული ძროხისაგა (როცა ჰექტარზე ნორმით 2,51 სულს აძოვებენ) მიღებულია 695 გირვანქა სტერლინი მოგება ხოლო ჰექტარზე მოგებამ 1745 გირვანქა სტერლინგი შეადგინა.

მწვავე ნატრიუმით დამუშავებული ჩალით კვება არავითარ სერიოზულ უარყოფით გავლენას არ ახდენს პირუტყვზე. შემჩნეულია მხოლოდ წყურვილის გაძლიერება და საკვების გათხელება. აღნიშნული წესით დამუშავებული სილოსის ნარევი კარგი გემოთი გამოირჩევა და მას საქონელი სიამოვნებით შეექცევა.

ჩვენს რესპუბლიკაში

★

ღმერთმა შეგარგოთ!

თბილისის 25 სასადილოში დღის საათებში მოწყობილია მარტოხელა მოხუცების უფასო კვება.

— აქ მოდიან მარტოხელა და ნაკლებად უზრუნველყოფილი პენსიონერები, — ამბობს ქალაქის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი მადონა ბერაძე. — ჯერჯერობით კმაყოფაზე 150 კაცი გვყავს. მაგრამ ასეთი დახმარების მსურველი გაცილებით მეტია. ჩვენი მუშაკები დადიან საბინაო—საექსპლოატაციო სამმართველოებში, სადაც მათ აძლევენ მცირე პენსიის მქონე მარტოხელა ადამიანთა მისამართებს. ამის შემდეგ მათ უკვე ადგილებზე ვთავაზობთ სპეციალურ ტალონებს კომპლექსური სადილებისათვის, რომლებიც 80 კაპიკი ჯდება. მას აანაზღაურებს საზოგადოებრივი კვების სამმართველო. სასადილოების მუშაკთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ხალისით უძღვებიან ამ დამატებით დატვირთვას.

(საქინფორმი).

რუსუდან მახაროგლიძეს
თემურ მაჩიტიძეს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ გამრავლებას, ულევ სიხარულს, სიყვარულს.

ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივი.



მარინე ჭიჭიკოს ასულ გურულს
ნოდარ არქიბოს ძე სილაგაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. კიდევ მრავალი და-ძმა შემატებოდეს. აღგეზარდოთ ერის საუკეთესო შვილები.

ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივი.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

უახლოესი მეზობლები შალვა ფოჩხიძე, არჩილ, პიმენ, ვარლამ, შურმან, დათო მურცხვალაძეები, ბორის, რაფიელ, ბახვა, ზაურ კვირკაშვილები, დავით გუგავა, ავთო ეფაძე, ზურიკო მეშველიანი, ბესიკ ბენდელიანი, სერგო ახვლედიანი, გრიშა სილაგაძე, ოთარ თვარაძე, ჯანიკო ჩაფიძე ოჯახებით იუწყებიან

ვიტალი ამბროსის ძე მეშველიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს!

ძმა ხუტუ, რძალი ნაზიკო, ძმისშვილები მერაბ, ზურაბ ბერუჩაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ავთანდილ ვარლამის ძე ბერუჩაშვილი.

დაკრძალვა 15 მარტს, ხუთშაბათს, ქ. თბილისში, გამოსვენება არგოს ქ. №44.

ლასურიაშის საშუალო სკოლის პედკოლექტივი, ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ნინო ლაკვეხელიანს რძლის

უუუუნა ჯამბურიძის

გარდაცვალების გამო.

რაიცენტრის აფთიაქის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბელა და კუკური ჩარკვიანებს დედის

საშა ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო.

ვალერიან, ნუგზარ, თენგიზ, დათო, სერგო, კუკური, რამაზ, ნიკო ჩიქოვანები, ალექსანდრე, კვაჩუნა ბერიძეები, გივი ახვლედიანი, კარლო ცვარიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაცვალა

საშა ჩიქოვანი-ჩარკვიანი.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3', განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66539, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.